

საქართველოს სამოქალაქო საჰაერო ხომალდების (სხ) სახელმწიფო რეესტრში რეგისტრაცია

სხ-ის მესაკუთრის ან ექსპლუატანტის (მესაკუთრის მიერ მასზე მინიჭებული უფლების შემთხვევაში) მიერ სააგენტოს წარედგინება შემდეგი საბუთები:

- ა) განაცხადი;
- ბ) მომსახურების საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- გ) სხ-ის საკუთრების უფლების დამადასტურებელი საბუთის დედანი ან დადგენილი წესით დამოწმებული მისი ასლი;
- დ) სხ-ის ექსპლუატაციის უფლების დამადასტურებელი საბუთის დედანი ან დადგენილი წესით დამოწმებული მისი ასლი (თუ განაცხადი შემოაქვს სხ-ის ექსპლუატანტს);
- ე) ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან (თუ მესაკუთრე/ექსპლუატანტი იურიდიული პირია);
- ვ) საიდენტიფიკაციო დოკუმენტის ასლი (თუ მესაკუთრე/ექსპლუატანტი ფიზიკური პირია);
- ზ) ექსპორტიორი სახელმწიფოს მიერ გაცემული კონკრეტული სხ-ის ფრენის ვარგისობის სერტიფიკატი და/ან ფრენის ვარგისობის საექსპორტო სერტიფიკატი;
- თ) ექსპორტიორი სახელმწიფოს რეესტრიდან სხ-ის ამოღების სერტიფიკატი;

საჰაერო ხომალდის (სხ) სამოქალაქო საჰაერო ხომალდების სახელმწიფო რეესტრში რეგისტრაციის საფასურის განაკვეთები სხ-ის მაქსიმალური ასაფრენი მასის (MTOW) მიხედვით:

- ა) ზემსუბუქი სხ-ებისთვის (750 კგ-მდე) – 500 ლარი;
- ბ) მსუბუქი სხ-ებისთვის (751 კგ – 5700 კგ-მდე) – 750 ლარი;
- გ) 5701 კგ – 15000 კგ-მდე სხ-ებისთვის – 1000 ლარი;
- დ) 15001 კგ – 90000 კგ-მდე სხ-ებისთვის – 2000 ლარი;
- ე) 90000 კგ-ზე მძიმე სხ-ებისთვის – 3000 ლარი.

დაკავშირებული მომსახურება:

სამოქალაქო საჰაერო ხომალდების სახელმწიფო რეესტრში/სხ-ის რეგისტრაციის სერტიფიკატში ცვლილებების შეტანა:

- ზემსუბუქი და მსუბუქი (5700 კგ-მდე) სხ-ებისათვის – 150 ლარი;
- მე-2 სამუშაო დღეს – 250 ლარი;
- სხვა კატეგორიის სხ-ებისათვის – 375 ლარი;
- მე-2 სამუშაო დღეს – 750 ლარი;
- სხ-ის რეგისტრაციის სერტიფიკატის დუბლიკატის გაცემა – 125 ლარი
- მე-2 სამუშაო დღეს – 200 ლარი;

საკონტაქტო ინფორმაცია: სამოქალაქო ავიაციის სააგენტო, 0158, თბილისი, აეროპორტი

საჰაერო ხომალდების ვარგისობისა და რეგისტრაციის დეპარტამენტი

ტელ: (+995 32) 2 94 80 10; ფაქსი: (+995 32) 2 94 80 02 / E-mail: air@gcaa.ge ვებგვერდი:

www.gcaa.ge